ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3967024

ნომერი: AR1592284

თარიღი : 12.04.2018

გაცემის თარიღი : 17.05.2018

გაცნობის თარიღი : 06.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 80-82/2 , საბურთალოს ქუჩა N4, N6 , (ნაკვეთი N28/37);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი თენიეშვილი პ/ნ 01024082739
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განცხადება, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში,

სექტორი - საბურთალო, ქუჩა კოსტავა, N 80-82/2, საბურთალოს ქუჩა N4, N6, (ნაკვეთი N28/37) შპს ასადოვ კაპიტალ ჯორჯიას საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ფართის საკადასტრო კოდი N 01.10.13.028.037.01.02.005, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892018294456 16/04/2018წ. ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი, მინდობილობა, თანხმობა) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, ქუჩა კოსტავა, N 80-82/2, საბურთალოს ქუჩა N4, N6, (ნაკვეთი N28/37) შპს ასადოვ კაპიტალ ჯორჯიას საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

უზრუნველყოფილ იქნას ფასადზე სარეკლამო აბრის კონსტრუქციული მდგრადობა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.